ახალი ხარაგაული

№334 (26), 4 ნოემბერი, 2016 წ.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი გახდა

კობა ლურსმანაშვილი მეუღლესთან ერთად საკუთარი არჩევანის დაფიქსირებისას

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2016 წლის 30 ოქტომბერს გამართული საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით, ხარაგაული-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი გახდა.

N51 ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 74 უბნის მონაცემებით, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატს 17 068 ამომრჩეველმა გამოუცხადა ნდობა, რაც არჩევნებში მონაწილეთა 73%-ს შეადგენს. ლურსმანაშვილმა ამ შედეგების მიხედვით, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი მოიპოვა და იგი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა.

ბატონი კობა არჩევნების შედეგებით კმაყოფილია და აცხადებს, რომ მოსახლეობამ მხარი ქვეყნის აღმშენებლობას დაუჭირა.

„ახლა, როცა უკვე, მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსით გესაუბრებით, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ვერ ვხედავ რაიმე განსხვავებას გუშინდელსა და დღევანდელ დღეს შორის. ჩემს პიროვნებაში არაფერი შეცვლილა, უბრალოდ მე, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი გავხდი. მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო ეს დიდი გამარჯვება, აღმშენებლობის გაგრძელება, თავისუფლების შენარჩუნება, კეთილდღეობა, რომელიც აუცილებლად უნდა მივიდეს ყველა ოჯახში. ჩვენ გვყავს ძალიან ძლიერი სახელისუფლებო გუნდი. პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს აქვს პოზიტიური და მომავალზე გათვლილი ხედვები. საქართველოს მოსახლეობას შეუძლია, თავი მშვიდად და დაცულად იგრძნოს, რადგანაც პარლამენტში პროფესიონალური გუნდი ეყოლება. ხარაგაულის აბსოლუტურმა უმრავლესობამ სრული მხარდაჭერა გამომიცხადა. ზესტაფონშიც იყო ძალიან მაღალი შედეგი. ჩემთვის ბაღდათი განსაკუთრებული შემთხვევაა - მოსახლეობამ ნდობა გამომიცხადა მაშინ, როცა ჩემი კონკურენტი ბაღდათელი იყო. ამ დიდი ნდობისთვის მინდა, კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა თითოეულ მათგანს.“ - განმარტავს ახლად არჩეული დეპუტატი.

ლურსმანაშვილი აცხადებს, რომ ის იქნება აქტიური დეპუტატი და მაქსიმუმს გააკეთებს თავისი ამომრჩევლის პრობლემების მოსაგვარებლად.

„შეხვედრებზე ხშირად ვეუბნებოდი მოსახლეობას, რომ ჩვენი საქმიანობის მიმართულება ორად გაიყოფოდა. ეს იქნებოდა საერთო პრობლემებზე ზრუნვა და ინდივიდუალური საკითხები. ვიქნები ახლოს თვითმმართველობებთან და ყველაფერს გავაკეთებ მათი წინსვლისა და განვითარებისათვის. არ ვაპირებ, ვიყო ინერტული, როცა ჩვენ გარშემო ადამიანებს უჭირთ. ბევრი რამაა მოსაგვარებელი და გპირდებით, რომ ვიქნები აქტიური დეპუტატი“.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლად მოსახლეობამ ნიკოლოზ თოფურიძე აირჩია

ნიკოლოზ თოფურიძე მოსახლეობასთან შეხვედრისას

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევნებში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატმა ნიკოლოზ თოფურიძემ გაიმარჯვა. თოფურიძეს ხმა 8 575 -მა ამომრჩეველმა (76,2%) მისცა, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, თამაზ ლომიძეს, მხარდაჭერა 2 678 -მა (23,8%) ამომრჩეველმა გამოუცხადა. კენჭისყრის პროცესი საარჩევნო უბნებზე მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ხარაგაული—ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ,,ქართულმა ოცნებამ“ კობა ლურსმანაშვილი დაასახელა. ლურსმანაშვილი მუნიციპალიტეტს ბოლო სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ახალი გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე კი დღემდე საქართველოს ელექტროსისტემის გენერალური დირექტორის კონსულტანტი გახლდათ.

თოფურიძე საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ არჩევნებს დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ ის მუნიციპალიტეტის წინსვლისა და წარმატებისთვის მაქსიმუმს გააკეთებს.

,,მადლობა მინდა, გადავუხადო ხარაგაულის მოსახლეობას ასეთი მხარდაჭერისა და ნდობისთვის. მე და ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა არჩევნები ღირსეულად და მშვიდობიანად ჩავატარეთ. ეს ყველაფერი კი ჩვენი შტაბისა და თითოეული ამომრჩევლის დამსახურებაა. ძალიან მიყვარს ხარაგაული და სწორედ ამ სიყვარულმა გადამაწყვეტინა მუნიციპალიტეტის გამგებლობა. ყველას მივეცი პირობა, რომ ჩვენ შორის არ იქნება ტყუილი და ამ დაპირებას პირნათლად შევასრულებ. იქნება ნდობა, თანადგომა, სიყვარული და დანარჩენს ჩემი საქმიანობა გიჩვენებთ.“-განმარტავს ნიკოლოზ თოფურიძე.

ახლად არჩეული გამგებელი სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრება და ამბობს, რომ რაიმე სერიოზული საკადრო ცვლილებების განხორციელებას არ გეგმავს.

„ჩემი პირველი ნაბიჯები არავისთვის არ იქნება მტკივნეული. მაქსიმალურად ვეცდები, სამსახურიდან სახლში არავინ იქნეს გაშვებული. ადამიანს დავაკვირდები, შევისწავლი და გადაწყვეტილებები შემდეგ იქნება მიღებული. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კურსი ისაა, რომ ვემსახუროთ ადამიანებს და ამიტომ მათი კეთილდღეობისათვის ყველაფერს გავაკეთებთ.“

რაც შეეხება ნიკოლოზ თოფურიძის ბიოგრაფიულ მონაცემებს ასე გამოიყურება.

დაიბადა 1967 წლის 16 მაისს. 1984 წელს დაამთავრა ქ. თბილისის N102 საჯარო სკოლა. 1986 — 1990 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში.

1990 წელს სწავლა გააგრძელა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ვაშინგტონში Lado international institute — ში. 1997 — 1999 წლებში სწავლობდა George Mason university- ში საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა:

• 1991-1993 კინოსტუდია ,,ქართული ფილმი“, მსახიობი ;

• 2001-2002 წლები საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ბიურო;

• 2002-2003 წლებში სამოქალაქო თავდაცვის და საგანგებო სიტუაციების სამმართველოს საგარეო განყოფილების უფროსი;

• 2004-2005 წლებში ხარაგაულის სატყეო მეურნეობის დირექტორი;

• 2005-2009 წლებში „ცენტრ პოინტის“ პროექტის მენეჯერი;

• 2010-2011 წლებში „ბლექ სი გრუპის“ პროექტის მენეჯერი;

• 2012 წლიდან დღემდე გახლავთ საქართველოს ელექტროსისტემის გენერალური დირექტორის კონსულტანტი.

სხვადასხვა დროს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და სერტიფიცირების კურსები:

• 2001 წელი - ჟენევა - NATO-ს ეგიდით NATO PFP -პარტნიორობა მშვიდობისათვის;

• 2001წელი - მადრიდი - NATO-ს ეგიდით პარტნიორობა მშვიდობისათვის;

• 2002წელი - სტოკჰოლმი - NATO-ს ეგიდით - NATO წრთვნისა და აღჭურვის პროგრამა;

• 2015 წელი - ჩინეთი - კვებისა და საკვების დაცვის საერთაშორისო სემინარი.

ფლობს ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ თოფურიძე უფლებამოსილების განხორციელებას რამდენიმე დღეში შეუდგება.

არჩევნების მეორე ტურში ხმების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი სახელისუფლებო კანდიდატებმა მიიღეს

30 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური 50 მაჟორიტარულ ოლქში ჩატარდა. აქედან 48 ოლქში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს. გამონაკლისია ორი ოლქი: ხაშურის N43 მაჟორიტარული ოლქი, სადაც „თოფაძე - მრეწველების“ კანდიდატი სიმონ ნოზაძე ლიდერობს და თბილისში, მთაწმინდის N1 მაჟორიტარული ოლქი, სადაც დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვა. რაც შეეხება ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარულ ოლქს, აქ გამარჯვება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა კობა ლურსმანაშვილმა მოიპოვა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, სახელისუფლებო კანდიდატს მხარდაჭერა ამომრჩევლის 73% -მა გამოუცხადა.

30 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საპარლამენტო არჩევნებთან ერთად გამგებლის რიგგარეშე არჩევნებიც ჩატარდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატი ნიკოლოზ თოფურიძე გახდა. ნიკოლოზ თოფურიძემ ამომრჩევლის საერთო ხმების 76,2% მიიღო.

არჩევნების მეორე ტურზე ამომრჩეველთა ყველაზე მაღალი აქტივობა N37-ე მაჟორიტარული ოლქის მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორიაზე დაფიქსირდა, სადაც ამომრჩეველთა აქტივობამ 62.53 % შეადგინა. მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა ბაღდათი-ხარაგაულის ოლქი, სადაც ამომრჩევლის 50%-მა მიიღო მონაწილეობა. მაღალი აქტივობა იყო ასევე ახალციხე-ადიგენისა და ლანჩხუთი- ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიების სამოქმედო ტერიტორიაზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამ დროისთვის შეჯამებული მონაცემების მიხედვით, მაჟორიტარი დეპუტატობისა და გამგებლობის კანდიდატების მონაცემები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შემდეგნაირად გადანაწილდა.

კობა ლურსმანაშვილი	გიორგი როგაძიძე
დაბა ხარაგაული - 459	დაბა ხარაგაული - 145
პატარა ხარაგაული - 371	პატარა ხარაგაული - 75
ბაზალეთი - 361	ბაზალეთი - 51

გაგრძელება მე-2 გვერდზე

როდის შეუდგება უფლებამოსილებას ახლად არჩეული პარლამენტი

18 ნოემბერი ის ბოლო ვადაა, როცა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2016 წლის პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი უნდა გამოსცეს. საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში, ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს მეორე ტურის კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს 19 დღეში იღებს.

რაც შეეხება ახალარჩეული პარლამენტის შეკრების პირველ დღეს, პარლამენტის პირველი სხდომა 19 ნოემბრამდე უნდა გაიმართოს. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის რეგლამენტში ნათქვამია, რომ ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების შემდეგ იმართება - არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღიდან 20 დღის განმავლობაში.

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დღეს პრეზიდენტი ნიშნავს.

პარლამენტი პირველივე სხდომაზე აირჩევს პარლამენტის თავმჯდომარეს და ვიცე-სპიკერებს, ასევე დააკომპლექტებს კომიტეტებს და აირჩევს მათ თავმჯდომარეებს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

დასაწყისი პირველ გვერდზე

კოგა ლურსმანაშვილი	გიორგი როგაძიძე	ნიკოლოზ თოფურიძე	თამაზ ლომიძე
		დაბა	
		ხარაგაული - 488	ხარაგაული - 125
		პატარა	
		ხარაგაული - 450	ხარაგაული - 69
		ბაზალეთი - 359	ბაზალეთი - 55
ბორითი - 330	ბორითი - 113	ბორითი - 328	ბორითი - 116
მაქათუბანი - 158	მაქათუბანი - 25	მაქათუბანი - 160	მაქათუბანი - 24
საქარიქედი - 173	საქარიქედი - 51	საქარიქედი - 176	საქარიქედი - 48
უბისა - 138	უბისა - 55	უბისა - 139	უბისა - 54
ვარძია - 493	ვარძია - 129	ვარძია - 495	ვარძია - 125
ვახანი - 282	ვახანი - 60	ვახანი - 283	ვახანი - 58
ზვარე - 267	ზვარე - 208	ზვარე - 264	ზვარე - 208
კიცხი - 375	კიცხი - 87	კიცხი - 368	კიცხი - 106
თეთრაწყარო - 249	თეთრაწყარო - 10	თეთრაწყარო - 238	თეთრაწყარო - 18
ლაშე - 286	ლაშე - 142	ლაშე - 328	ლაშე - 103
ლეღვანი - 253	ლეღვანი -125	ლეღვანი - 260	ლეღვანი -114
მარელისი - 159	მარელისი - 51	მარელისი - 165	მარელისი - 48
დიდვაკე - 73	დიდვაკე - 18	დიდვაკე - 77	დიდვაკე - 14
მოლითი - 296	მოლითი - 60	მოლითი - 300	მოლითი - 60
დეისი - 75	დეისი - 29	დეისი - 79	დეისი - 28
ქვები - 145	ქვები - 56	ქვები - 147	ქვები - 56
ნადაბური - 159	ნადაბური - 43	ნადაბური - 144	ნადაბური - 58
სარგვეში - 174	სარგვეში - 39	სარგვეში - 168	სარგვეში - 39
საბე - 82	საბე - 7	საბე - 80	საბე - 8
საღანძილე - 254	საღანძილე - 56	საღანძილე - 257	საღანძილე - 48
ვანი - 121	ვანი - 43	ვანი - 125	ვანი - 37
ჩხერი - 135	ჩხერი - 35	ჩხერი - 145	ჩხერი - 28
ფარცხნალი - 209	ფარცხნალი - 81	ფარცხნალი - 229	ფარცხნალი - 66
ღორეშა - 300	ღორეშა - 83	ღორეშა - 300	ღორეშა - 83
წიფა - 296	წიფა - 65	წიფა - 291	წიფა - 66
წყალაფორეთი - 331	წყალაფორეთი - 124	წყალაფორეთი - 329	წყალაფორეთი -123
ხევი - 386	ხევი - 127	ხევი - 375	ხევი -136
ხიდარი - 284	ხიდარი - 105	ხიდარი - 278	ხიდარი -111
ხუნევი - 197	ხუნევი - 89	ხუნევი - 164	ხუნევი - 125
ვერტყვიჭალა - 282	ვერტყვიჭალა - 132	ვერტყვიჭალა - 253	ვერტყვიჭალა - 163
ჯაფარეული - 85	ჯაფარეული - 37	ჯაფარეული - 95	ჯაფარეული - 32
საქარიქედი - 94	საქარიქედი - 50	საქარიქედი - 92	საქარიქედი - 50
ისლარი - 75	ისლარი - 21	ისლარი - 92	ისლარი - 13
გედსამანია - 134	გედსამანია - 48	გედსამანია - 123	გედსამანია - 67
ჯამში - 8541	**ჯამში - 2675**	**ჯამში 8575**	**ჯამში 2682**

პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში ხარაგაულში კიდევ ერთი პროექტი დაფინანსდა

პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში ხარაგაულში კიდევ ერთი პროექტი დაფინანსდა. ხარაგაულელმა ხათუნა მანჯავიძემ სახელმწიფოსგან 5 000 ლარიანი გრანტი მოიპოვა: „2016 წელს, როცა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში იდეების კონკურსი გამოაცხადა, გადავწყვიტე, მიმეღო მონაწილეობა. ეს კონკურსი, როგორც ახალი იდეის დაფინანსებას, ასევე არსებული საწარმოს გაფართოებასაც გულისხმობდა. პირველი მცირე საწარმო ხარაგაულში 2009 წელს გავაკეთე, სადაც ვპენტავდით ბამბას, ვკერავდით ლეიბებსა და საბნებს. ძირითადად ხელით ვმუშაობდით, რადგან შესაბამისი აპარატურა მოძველებული გვქონდა. ხარაგაულში ჩვენ გარდა ერთი მსგავსი საწარმო მუშაობდა. იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანი ვყოფილიყავით, გადავწყვიტე, რაღაც ახალი მომეფიქრებინა და ბიზნეს იდეაც ამის მიხედვით დამეწერა. შევისწავლე ბაზარზე დღეს არსებული მოთხოვნები და გადავწყვიტე თხელი ლეიბების შეკერვა. საჭირო გახდა ისეთი დანადგარები, რომლებიც ამას გააკეთებდნენ და ხელით მუშაობა აღარ მოგვიწევდა.“

პროექტის ერთ-ერთი მოთხოვნა 20 % - იანი თანამონაწილეობაა. ქალბატონმა ხათუნამ გადაწყვიტა, საკუთარი თანხით ფართი კეთილმოეწყო.

„გავარემონტე უკვე არსებული საწარმო, გამოვცვალე ინვენტარი, შევღებე კედლები და შევქმენი უკეთესი პირობები. სახელმწიფოსგან მიღებული 5 000 ლარით კი სხვადასხვა ფუნქციის მქონე 3 საკერავი მანქანა და მაგიდები შევიძინე. ამ დროისათვის საწარმოში, ჩემი ჩათვლით, სამი ადამიანი ვართ დასაქმებული. საშუალო ხელფასი თვეში 250 — 300 ლარია. ვაპირებ კიდევ ერთი მუშახელის, ბამბის მპენტავის, აყვანას.

ნებისმიერი საქმის დაწყება რთულია, მაგრამ იმისათვის, რომ იდეა ჩამოაყალიბო, კარგად უნდა დაგეგმო ყველა დეტალი და ბაზარი შეისწავლო. სწორად განსაზღვრო, რისი წარმოება გინდა და მაქსიმალურად ხარისხზე უნდა იყო ორიენტირებული.“

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2014 წლის ივნისიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება დაიწყეს.

პროექტის პირველი ეტაპი ბიზნეს იდეების კონკურსში მონაწილეობას გულისხმობს. ამისათვის დაინტერესებული პირმა უნდა შეავსოს განაცხადის ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებ-გვერდზე: qartuli.ge

სამთავრობო პროგრამა მიმართულია წარმოების განვითარებისა და წახალისებისაკენ, რომლის მთავარ მიზანს მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა წარმოადგენს.

მარიანა ბურჯალიანი

ირმა სებისკვერაძე პოლონეთში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა

საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“ და პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „Edukator”-ი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, აჭარის, იმერეთისა და სამეგრელოს რვა მუნიციპალიტეტში პროექტს „საქართველოში სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის და მათი ხარისხის გაუმჯობესების მხარდაჭერას“ ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში რამდენიმე მუნიციპალიტეტში სასკოლო მზაობის ცენტრები და ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფები გაიხსნა. რაც შეეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, N1 საბავშვო ბაღის ბაზაზე სასკოლო მზაობის ცენტრი ფუნქციონირებს, ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფი კი სოფელ ნადაბურში გაიხსნა.

სულ რამდენიმე ხნის წინ საერთაშორისო ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკას,“ არასამთავრობო ორგანიზაცია „Edukator”—ისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, პოლონეთში ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით ხარაგაულის ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, ირმა სებისკვერაძე, იმყოფებოდა.

„ტრენინგი, ძირითადად, ალტერნატიულ ბაღებში ბავშვის თვითგანათლებას ეხებოდა“ - აღნიშნავს ჩვენთან საუბარში ირმა სებისკვერაძე და პოლონეთში სკოლამდელი განათლების პრიორიტეტებზე გვესაუბრება. „აქ სკოლამდელ განათლებას ბავშვების 60% იღებს და ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება. შეხვედრა გვქონდა სკოლამდელი განათლების კურატორთან, რომელმაც გვითხრა, რომ პოლონეთში საბავშვო ბაღებში კვების თანხებს მშობლები იხდიან, ხოლო განათლებას თვითმმართველობა აფინანსებს. საქართველოში ამ მხრივ უკეთესი შედეგი გვაქვს. ჩვენთან მოსახლეობის 80% იღებს სკოლამდელ განათლებას და საბავშვო ბაღები უფასოა.“

ირმა სებისკვერაძე ამბობს, რომ პოლონეთში ვიზიტის დროს ქალაქ ვარშავისა და ლომჟას ბაღები მოინახულა. მისივე ინფორმაციით, იქ ჯგუფები გაცილებით მცირე კონტიგენტითაა დაკომპლექტებული, რაც ბაღების სიმრავლითაა გამოწვეული. ქალბატონი ირმა პოლონეთის ბაღების ეზოს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით აღფრთოვანებულია.

„მეწარმე ბავშვები,“ ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც პოლონეთის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში ახორციელებენ. ბავშვებს უტარდებათ მათთვის საინტერესო აქტივობები ეკონომიკის განვითარების მხრივ. მომავალში ირმა სებისკვერაძე ამ პროექტის ხარაგაულში დანერგვას აპირებს.

მნიშვნელოვანია, რომ 2017 წელს სოფელ ნადაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიგეგმა. აქედან გამომდინარე, ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფი, შესაძლოა, სოფელ მარელისში გაიხსნას.

თამარ მალრაძე

პატარძლობა და მოქალაქეობრივი ვალი

30 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ გედსამანიის საარჩევნო უბანზე საკუთარი არჩევანის დასაფიქსირებლად პატარძალი მეუღლესთან ერთად მივიდა. გზა ჯვრისწერიდან N37 საარჩევნო უბნამდე მაყრიონთან ერთად და მოხდილი მოქალაქეობრივი ვალი, 21 წლის თამუნა ლომიძის საქორწინო ცერემონიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. თამუნა ლომიძეს და დავით ქიმაძეს გაბედნიერება პირადად მიულოცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ შალვა ლურსმანაშვილმა და N48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გია ცისკაძემ. ბატონმა გიამ პატარძალს თაიგული მიართვა.

ნიკო კეცხოველის 2017 წლის პრემიის მოსაპოვებლად სასკოლო კონკურსში ბაზალეთის სკოლის ეკო კლუბი „ბაო“ მონაწილეობს

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა „CENN“-მა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, ნიკო კეცხოველის, 2017 წლის პრემიის მოსაპოვებლად სასკოლო კონკურსი გამოაცხადა. კონკურსი უნიკალური შანსია სკოლებისთვის, რათა მოსწავლეებმა და პედაგოგებმა წარმოაჩინონ საკუთარი თავი, დაგეგმონ და განახორციელონ „მწვანე აქტივობები“ და ამგვარად შეიტანონ გარემოსდაცვითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროცესში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 27 ოქტომბერს ბაზალეთის სკოლის ეკო კლუბ — „ბაოს“ წევრებმა (ხელმძღვანელი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი თეა ტალახაძე) ბორჯომ—ხარაგაულის ეროვნული პარკის წარმომადგენლებთან ერთად დასუფთავების აქცია გამართეს. აქციის ფარგლებში, მდინარე ჩხერიმელას სანაპირო ბაზალეთთან დამაკავშირებელი ბონდის ხიდიდან ავტოსადგურამდე დასუფთავდა.

თეა ტალახაძე ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ამ კონკურსში კლუბი გასულ წელსაც მონაწილეობდა, სადაც იმერეთის მასშტაბით მეორე ადგილი დაიკავეს. ქალბატონი თეა პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა. — „ვაპირებთ, გამწვანების აქციის მოწყობას. ვაწარმოებთ კვლევებს მოსახლეობის შეშით მომარაგების თაობაზე. შევდივართ ოჯახებში და ვეკითხებით, თუ, როგორ შეშას იყენებენ სათბობად, რა ადგილიდან მოაქვთ და რამდენად უსაფრთხოა ეს პროცესი.”

ნიკო კეცხოველის I, II და III ხარისხის პრემიასთან ერთად, დაწესდება უამრავი პრიზი, პარტნიორი სახელმწიფოსა და კერძო ორგანიზაციებისაგან. გასული წლებისგან განსხვავებით, წელს საკონკურსო თემატიკა გაფართოვდება და ტყეებთან ერთად, ნარჩენების, ბუნებრივი კატასტროფებისა და მინერალური რესურსების მოპოვების პრობლემატიკასაც მოიცავს. აღნიშნული მიმართულებით კონკურსში რამდენიმე საერთაშორისო პროექტი ჩაერთვება.

„დღეს ქვეყანაში ეკოლოგია ცუდ მდგომარეობაშია, როგორც მდინარის ასევე საცხოვრებელ ადგილებში“ - აცხადებს ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე, ტარიელ ხიჯაკაძე და აქვე დასძენს, რომ „თუ ჩვენ სკოლებიდან არ დავიწყებთ დასუფთავების აქციის ჩატარებას, შემდგომში დაბინძურებული გარემოს მავნებლობის გაანალიზება დაგვიანებული იქნება. ბავშვებს უნდა შევასწავლოთ ქვეყნის, გარემოსა და მდინარეების სისუფთავე. გასულ წელს ეროვნული პარკის მიერ ჩატარებულ გამწვანების აქციაში მხოლოდ ბაზალეთის სკოლამ მიიღო მონაწილეობა. მომავალში კარგი იქნება, თუ მათ სხვა სკოლებიც მიბაძავენ ეროვნული პარკის თანამშრომლები ყოველთვის გვერდით დავუდგებით. მიხარია, რომ ერთობლივად დარგული მცენარეები უკვე გახარებულია“.

კესო ჩხიკვაძე - ბაზალეთის სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე:

„დიდი სურვილი მქონდა კლუბ „ბაოში“ გაწევრიანებისა, რადგან ის გარემო, რომელშიც ვცხოვრობ, მსურს, იყოს ლამაზი და სუფთა. ცუდია, რომ ჩვენ გარშემო ბუნება დაბინძურებულია. სუფთა გარემო ჯანმრთელობის საწინდარია.“

ანა კალანდაძე - ბაზალეთის სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე:

„დაბინძურებული გარემო ზიანს აყენებს ჩვენს ორგანიზმს, საფრთხეს უქმნის ცოცხალ ორგანიზმებს, აზიანებს ბუნების საფარს. არ შეიძლება, რომ ჩვენ ასე უდიერად მოვეპყრათ დედამიწას და დავაბინძუროთ გარემო“.

თამარ მალრაძე

ისრაელში ნამდვილი საქართველო ვნახე...

ყველასათვის ცნობილია, რომ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი ჭეშმარიტად იქცა ებრაელთა და ქართველთა მეგობრობის ღირსეულ მემკვიდრედ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართული სპექტაკლის - „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“ - ექომ საოცარი გრძნობა ჩაასახლა წმინდა მიწაზე მცხოვრებ ქართველ ებრაელთა გულებში...

ოცნებობდნენ, ახლოს ენახათ მათთვის უკვე ლეგენდად ქცეული ქალბატონი იზა ვეფხვაძე. უშუალოდ განეცადათ ამ უმშვენიერესი სპექტაკლით გამოწვეული ნეტარება...

და ასრულდა მათი ოცნება. ქართულ მიწაზე აღზრდილმა ებრაელი ერის ღირსეულმა შვილმა, ბატონმა პაატა იოსებაშვილმა მათი ოცნება რეალობად აქცია...

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, ჩემი რესპოდენტია ისრაელიდან სულ ახლახან დაბრუნებული ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის მესაჭე, ქალბატონი **იზა ვეფხვაძე.**



— როგორც ცნობილია, თქვენი ორენოვანი წიგნის პრეზენტაცია და სპექტაკლის ჩვენება „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“ მოხდა ისრაელში. გთხოვთ, მკითხველს მოუთხროთ თქვენი ისრაელში ვიზიტისა და შედეგების შესახებ.

— დაახლოებით ერთი თვის წინ გამოვეცი ორენოვანი წიგნი (ქართულ და ივრითულ ენებზე) „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“...წიგნი ასახავს ქართულ-ებრაული ურთიერთობების 26 საუკუნოვან ისტორიას. 2014 წელს ამ სახელწოდების სპექტაკლი დავდგით ლიტერატურულ თეატრში, პრემიერა შედგა თბილისის ებრაულ სახლში და კლუბ „26 საუკუნეში“, შემდეგ კი, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სპექტაკლები გავმართეთ ყველა იმ ქალაქში, დაბასა და სოფელში, სადაც ებრაელები საუკუნეთა განმავლობაში სახლობდნენ: მცხეთა, ქუთაისი, სურამი, კულაში, ლაილაში, ახალციხე, ბანძა. შემდეგ სპექტაკლის სრული ვერსია გამოვეცი წიგნად, მაგრამ საჭირო იყო, რომ ივრითულ ენაზე თარგმნილიყო. ჩემი იდეა გავანდე ქართველ ებრაელს, არქიტექტორს, მეცენატს, ისრაელში მცხოვრებ პაატა იოსებაშვილს. მან საკუთარ თავზე აიღო წიგნის თარგმნა-გამოცემის საკითხი. გადავწყვიტეთ, რომ წიგნის პრეზენტაცია პირველად გაგვემართა ისრაელში ქართველი ებრაელებისთვის. ასეც მოხდა. მისივე მიწვევით 14-24 ოქტომბერს ვიმყოფებოდი ისრაელში. ქალაქ ხაიფას მახლობლად, კირიათათაში, გაიმართა წიგნის პრეზენტაცია და ლიტერატურული სპექტაკლი „ ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს...“

სპექტაკლს და წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ ისრაელის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ქართველი ებრაელები, ასევე ისრაელში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლობა. ეს იყო ენით აუწერელი ზეიმი და სიხარული. ცრემლი, ღიმილი, ემოცია, განცდა - ყველაფერი ერთად აირია, ვერ მოვძებნი სიტყვებს, რომ გადმოვცე, რაც იქ ხდებოდა. საღამოს 8 საათზე დაწყებული სპექტაკლი, წიგნის პრეზენტაცია და ვახშამი მეორე დღის დილის 6 საათამდე გაგრძელდა. იქ იყვნენ ისრაელში ცნობილი მომღერლები და ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ბავშვებმა საოცარი ემოციითა და გრძნობით შეასრულეს ქართული ცეკვები.10 დღის განმავლობაში არ შემწყდარა ქართველი ებრაელების სტუმრობა ჩემი მასპინძლის ოჯახში, მიწვევა მათ ოჯახებში. ჩემს მასპინძელთან ერთად მიწვეული ვიყავი ისრაელის ქართულ რადიოში ქალაქ იერუსალიმში. როგორც რადიოს გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, ამდენი მსმენელი და ნახვა იშვიათად ჰქონია რომელიმე გადაცემას, ეს იყო ნახევარსაათიანი ინტერვიუ ქართულ-ებრაულ მეგობრობაზე.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ჩემი მასპინძლების, ბატონ პაატასა და ქალბატონ ლოლას განსაკუთრებული მასპინძლობა, სტუმართმოყვარეობა. ეს ოჯახი ხაიფაში ერთ-ერთ ცნობილ და გამორჩეულ ოჯახად ითვლება. ბატონი პაატა ქალაქ ხაიფას მთავარი არქიტექტორი გახლდათ წლების განმავლობაში. მათ მომატარეს ისრაელის ქრისტიანული წმინდა ადგილები: იერუსალიმი, გოლგოთა, გედსამანიის ბაღი, ნაზარეთი, გოდების კედელი, ბეთანია, კაპერნაუმი, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ტაძრები, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, მდინარე იორდანეში ნათელი ვიცხეთ... არ ვიცი, რომელი ერთი აღვნიშნო. იმ განცდებს, რაც იქ ეუფლება მართლმადიდებელ ქრისტიანს, ვერანაირი სიტყვები ვერ გადმოსცემს, ეს უნდა განიცადო, ამიტომ სიტყვებით ვერ გავაუფერულებ იმ განცდებსა და გრძნობებს.

მე ისრაელში ნამდვილი საქართველო ვნახე, ქართული პურმარილით, სტუმართმოყვარეობით, დახვეწილი ქართულით, ქართული ცეკვით, სიმღერით, თამადით, ქართული ტრადიციებით, ვნახე, როგორ უმღერიან ჩვილებს იავნანას, ეს ცრემლის გარეშე ვერ მოვისმინე და, თუ შეიძლება, სიხარულის ცრემლი დაედინოს ადამიანს, ეს იყო ათდღიანი ცრემლიანი სიხარული, რადგან დაუოკებელი ემოცია მხოლოდ ცრემლის გზით პოულობდა შვებას. ეს იმხელა ემოცია იყო, რომ 10 დღე თითქმის თვალი არ მომიხუჭავს, დილამდე გრძელდებოდა ზღაპრული მასპინძლობა, სტუმრობა, მიწვევა-მოწვევა, დღე სიწმინდეების მოლოცვა-მონახულება, მაგრამ ამ 10-მა დღემ იმხელა საგზალი მომცა, რომ მთელი ცხოვრება მეყოფა, მეშინია კიდეც, როგორ ვატარო ამხელა სიყვარული და მადლი, რაც იმ მიწამ და ადამიანებმა სამუდამოდ მისაგზლეს ცხოვრების გზაზე. იქ ისეთი სულიერი მეგობრები გავიჩინე, რომ უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. წამოსვლის დღეს ცოტა წნევა მქონდა, დღემდე მწერენ-მირეკავენ, მიხედე თავს, თორემ ჩამოვალთ, აქ ჩამოგიყვანთ და ძალით მოგხედავთო. ყოველ დილით ჩემს ჯანმრთელობის მდგომარეობას ამოწმებენ და უკვე რამდენიმე დღეა ყოველ დილით ისრაელში რამდენიმე მეგობართან და მასპინძელთან მიწევს მიწერა: „ძალიან კარგად ვარ, არანაირი წნევა აღარ მაწუხებს...“ ორი დღის წინ მაცნობეს, რომ მკვდარი ზღვის კურორტზე დაჯავშნეს ადგილი რომ, დავისვენო მოკლედ ასეთი მზრუნველობა-სიყვარული-მოფერება იციან. ძალიან მადლიერნი არიან იმ წიგნისა და სპექტაკლის გამო, რომელმაც მართლაც ძალზე ემოციურად და სრულად დაიტია ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის ემოციური და უნიკალური ფურცლები. ისრაელის ერთ-ერთი სინაგოგის რაბინმა გადაწყვიტა, რომ ჩემი წიგნი ინგლისურად თარგმნოს. როგორც აღნიშნა, მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს ამ უნიკალური მეგობრობის შესახებ. უკვე შეუდგა კიდეც თარგმნას.

აქვე მინდა დავამატო, რომ სპეციალურად ისრაელში გასამართი სპექტაკლისთვის სამოსი შექმნა მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა დიზაინერმა, ბატონმა აბრამ ბაზელმა, ხოლო, როცა საქართველოში დავბრუნდი, მან დამახვედრა ახალი სამოსი თბილისში გასამართი სპექტაკლისთვის, რომელიც ქართულ-ებრაულ თემატიკაზე არის შექმნილი.

— საქართველოშიც გაგრძელდა ზეიმის დღეები, როცა თბილისსა და ქუთაისში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია...

— დიახ, საქართველოში დავბრუნდი 24 ოქტომბერს ჩემს მასპინძელთან ერთად. 25 ოქტომბერს სპექტაკლის ჩვენება და წიგნის პრეზენტაცია გაიმართა თბილისში, დარბაზი მაყურებელს ვეღარ იტევდა, აქ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული რამდენიმე ებრაელი ესწრებოდა... იყო საოცარი ემოცია და განცდა სიყვარულისა, პატივისცემა და ხსოვნა განვლილი წლებისა. სპექტაკლის დაწყების წინ უდიდესი პატივი მერგო წილად, ებრაელი ერის სახელით, ბატონმა ჯამლეთ ხუხაშვილმა გადმომცა ჯილდო საქართველოს და ისრაელის ვარსკვლავი, სახელწოდებით „ორი ვარსკვლავი“... ეს გახლდათ პირველი შემთხვევა , როცა ებრაულმა საზოგადოებამ საქართველოს წარმომადგენელს გადასცა, როგორც სიმბოლო ორი ერის განსაკუთრებული სიყვარულისა და გაწეული ღვაწლისა.

29 ოქტომბერს წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ქუთაისში, რომელსაც ქუთაისში მცხოვრები ებრაელები და მათი მეზობელ-მეგობრები ესწრებოდნენ. საღამო 6 საათი გაგრძელდა და არავის არ უნდოდა წასვლა, იყო უთვალავი ცრემლიანი სიხარული და ქუთაისური იუმორით გაჯერებული მოგონებები.

პირველ ეტაპზე გამოიცა 700 წიგნი, მაგრამ ეს სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. უახლოეს პერიოდში ვაპირებ წიგნის მეორედ გამოცემას, მაგრამ იმდენი მსურველია საქართველო-ისრაელში , რომ არ ვიცი, როგორ შევძლებთ მათ დაკმაყოფილებას.

P.S. ინტერნეტსივრცეში არ წყდება შთაბეჭდილებათა გაზიარება. წიგნის პრეზენტაციასა და სპექტაკლს ეხმაურებიან: დავით ჭელიძე; თამარ თათარაშვილი; დალი შენგელია; ნელი ჯანაშვილი; ანა კოლ შიმშილაშვილი; ნანა დავარი.

ანა კრიხელი: „მოლოდინს გადააჭარბა გუშინ გამართულ მონო სპექტაკლის ავტორის იზა ვეფხვაძის უჩვეულო ნიჭმა და შეუდარებელმა მეხსიერებამ დაჯილდოებული ქალბატონი იზას სპექტაკლზე. დიდხანს ისაუბრებენ ამ დაუჯერებელი საღამოს ისრაელში და მის სულისჩამდგმელ ქალბატონ იზას ნიჭზე, მშვენიერებაზე და, რა თქმა უნდა, ბატონ პაატასა და ქალბატონ ლოლაზე , პიროვნებებზე, რომელთაც გვაჩუქეს იზას ნიჭიერება, ფრთები შეასხეს იზას ოცნებას ,რათა ჩვენამდე მოეტანა ეს სითბო და უსაზღვრო სიყვარული. იზამ სიყვარულის ცეცხლი დაანთო და ახალი ერა დაიწყო ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში.“

ლილი გუგულაშვილი: „იზა ვეფხვაძე ორი ერის კაშკაშა ვარსკვლავია. სად არ მიმოგზაურია, რა არ მინახავს, რა არ წამიკითხავს, მსგავსი საგალობელი, რაც იზამ ამ ორ ერს უძღვნა, ჯერ არ მინახავს, არ მსმენია , არ გამიგია. დაილოცოს ქართული მიწა მისი აღზრდისთვის!“

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით (მ.გ.) და დიდი მადლიერება გამოვხატო თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულ სალონ, „საგულისონის“ ენერგიული ხელმძღვანელის, ქალბატონ ცისანა ქოჩეჩაშვილის მიმართ, რომელმაც 25 ოქტომბერს შესატყვისი საზეიმო დახვედრა მოეწყო ისრაელიდან დაბრუნებულ ქალბატონ იზა ვეფხვაძეს და მის გულთბილ მასპინძელს, ბატონ პაატა იოსებაშვილს.

ამ დღეს მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლის „პიონერფილმის“ დარბაზში იზა ვეფხვაძის წიგნის პრეზენტაცია და სპეკტაკლი იყო იმ ემოციების ჭეშმარიტი გაგრძელება, რასაც ადგილი ჰქონდა წმინდა მიწაზე.

როგორც ერთ-ერთ მაყურებელს, არ ძალმიძს ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის კიდევ ერთი გამორჩეული 25 ოქტომბრის ნამდვილი დღესასწაულის სიტყვებით გადმოცემა.

ისრაელის წმინდა მიწაზე ქალბატონი იზას გულმხურვალე მეგზურის, ბატონ პაატა იოსებაშვილისადმი მიძღვნილმა ქართველი პოეტის სტრიქონებმა ყველა ჩვენგანის სამადლობელი დაიტია.

ქართულ-ებრაულ მუხის ხარ ძირი,
სავსე გონების ალით,
შენი სულის და სისხლის ნაწილი
ივრითის მიწა არის!

ჩვენს მეგობრობას შეცვლის ვერავინ,
დაულოციათ ღმერთებს...
გადაეც სვეტიცხოვლის სალამი
ჯვრის მონასტერს და ბეთლემს!...

მერი გიორგიძე

საიუბილეო სიურპრიზი

2016 წლის 1 ოქტომბერი... ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ ცნობილი მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ილია პატაშურის, სურათების გალერეაში სტუმრად მოსულთ.. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის (გენერალური დირექტორი ლელა ასკურავა) და მისი ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ მეგობრებს — დედაქალაქის ბიბლიოთეკების წარმომადგენლებსა და მკითხველებს, მუსიკოსებს, ჟურნალისტებს, თბილისის წმ. თამარ მეფის სკოლა-პანსიონის (რექტორი დეკანოზი მირიან სამხარაძე) პროფესიული მიმართულების სტუდენტებს...

ეს იყო დიდი მხატვრის გასაოცარ სამყაროსთან მიახლების, აღფრთოვანების, სულიერი კათარზისის უძვირფასესი წუთები, როდესაც ცნობილი ტილოების („ვედრება“, „დიდგორის ბრძოლა“, „ბროწეულები“, დედისა თუ მამის უნიკალური პორტრეტები და ა.შ.) ხილვით ტკბობა ორგანულად ერწყმოდა ცნობილი მუსიკოსის, ოთარ მაღრაძის, მიერ როიალზე აჟღერებულ დიდებულ ჰანგებს, როდესაც ფერთა სიმრავლით თავბრუდახვეული ლექსი და სიმღერა ზღაპრულ სამყაროს ქმნიდა. თუმცა...

მე მკითხველის ყურადღება იმ სიურპრიზს მინდა მივაპყრო, რომელიც ჩვენი და, პირადად, ჩემი მეგობრის, იზა ვეფხვაძის მშობლიურმა ხარაგაულმა მოგვიწყო:

მართალია, ქალბატონი იზას სტუმრობა ჩვენ მიერ ისედაც იყო დაგეგმილი (იზას დიდებული პორტრეტი „აღმაფრენა“ მხატვარმა ხომ ამ ბოლო ხანებში შექმნა), მაგრამ, წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იყო ჩვენი სიხარული, როდესაც მასთან ერთად, საგამოფენო სივრცე „დაიპყრეს“ ხარაგაულის წარმომადგენლებმა: ევგენი ხარაძის სახელობის მესამე საჯარო სკოლის დირექტორმა, მარინე ხვედელიძემ, მოადგილემ ნანა კვინიკაძემ, პედაგოგმა მაია გაგოშიძემ და უფროსკლასელებმა. სტუმართა შორის იყო იზა ვეფხვაძის ქართული ენის პედაგოგი და კლასის დამრიგებელი — ქალბატონი მერი გიორგიძე, საამაყო მოსწავლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე შექმნილი წიგნის ავტორი.

შეხვედრა ნამდვილ ზეიმად იქცა: პოეტების მზია ხეთაგურის, მარინე თექთუმანიძის, მხატვრისა და ჟურნალისტის ოთარ ციციშვილის, საბიბლიოთეკო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის, მწერლისა და პუბლიცისტის გულნარა სტურუას, ჟურნალისტ თამარ შოშიაშვილის შთაბეჭდილებებსა თუ ლექსებს ისე შეერწყა ხარაგაულის სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ წაკითხული ლექსები და მშვენიერი სიმღერები, რომ, მერწმუნეთ, წინასწარდაგეგმილი ვერავითარი პროგრამა ვერ დასჯაბნიდა...

არასდროს დაგვავიწყდება ანა მაჭავარიანის მიერ წაკითხული შოთა ნიშნიანიძის „აფხაზური კანტატა“, ვიოლინოზე შესრულებული რევაზ ლაღიძის „არ იფიქრო“.

რა მაგიური ძალით შეასრულა სიმღერა „განთიადი“ „იმერეთის ხმის“ კონკურსში გამარჯვებულმა სალომე კვირიკაშვილმა, ეს ყოვლად წარმოუდგენელია.

იყო გულღია სტუმარმასპინძლობა, ხუმრობა, გულწრფელი სადღეგრძელოები... ხელოვნების ნამდვილი ნიმუში იყო დიდი მხატვრისათვის მირთმეული ტორტი(ავტორი ქალბატონი ნანა კვინიკაძე). საოცარი ფანტაზიით შემოქმედის გვარსახელთან ერთად, მასზე მხატვრის პალიტრა და ფუნჯი იყო გამოსახული.

ეს იყო ერთობა ადამიანებისა, ერთობა ლიტერატურისა და ხელოვნებისა, მეგობრობისა, რომლის მთავარი გმირი ილია პატაშური გახლდათ...

და იდგა სტუმართა წრეში მაღალი, მოხდენილი, ქართულ ჩოხაში გამოწკეპილი „ჩოხოსანი მხატვარი“, რომელიც ჩვეული ღიმილით, მშვიდად, სიტყვაკაზმული ქართულით საუბრობდა თავისი ცხოვრების, სიყვარულის, შემოქმედების ქარტეხილიან, წარმატებებით განვლილ გზებზე და საიუბილეო, 75 წლისთავის დღესასწაულის დაუვიწყარ ფურცლებს კიდევ ერთი, ლამაზი დღით ავსებდა...

ილო პაპას საუბარს განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა სტუმართა ყველაზე უმცროსი წარმომადგენელი, მეშვიდე კლასის წარმატებული მოსწავლე, გურამ ლურსმანაშვილი, რომელიც იმერეთში მისი მასპინძელი იყო, როცა ამ ულამაზეს კუთხეში ქალბატონ იზას თაოსნობით სამხატვრო პლენერი პირველად ჩატარდა.

აღტაცებას ვერ მალავდა დიდებული მხატვრული ტილოს „აღმაფრენის“- გმირი, იზა ვეფხვაძე, ბედნიერი და მუდამ ღიმილიანი...

მილოცვები, მადლობები, შთაბეჭდილებები... სამადლობელი სიტყვები და კეთილი სურვილები თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილის ქალბატონ ეკა მამასახლისისა...

მომავალ შეხვედრამდე, ბატონო ილია! მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო ხარაგაულელებო!

ცისანა ქოჩეჩაშვილი
თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ ხელმძღვანელი

ინოვაციების ცენტრში „ჯეოლაბისა“ და „ელვას“ ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა

26 ოქტომბერს ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში დიზაინის, მენეჯმენტისა და პროგრამირების საკითხებზე გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ჩაატარეს, საერთაშორისო ცენტრის „ელვასა“ და „ჯეოლაბის“ წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე სასწავლო ცენტრ „ჯეოლაბის“ რექტორმა სანდრო ასათიანმა და ლექტორმა ლევან ასათიანმა მსმენელებს მიაწოდეს ინფორმაცია გრაფიკული დიზაინის მნიშვნელობასა და პროგრამირების საკითხებზე.

„ახალგაზრდები ინოვაციური განვითარებისთვის,“ ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც „ჯეოლაბი“ და“ელვა“ ერთობლივად ახორციელებენ. პროექტის ძირითადი მიზანია, ახალგაზრდების ინფორმირება, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარებისთვის. ყოველივეს ცოდნით კი თითოეულს შეეძლება საკუთარი შემოსავლის გამომუშავება, თუნდაც ხარაგაულიდან გაუსვლელად, ინტერნეტის საშუალებით.“ - გვესაუბრება საერთაშორისო ორგანიზაცია „ელვას“ საზოგადოებრივი ჩართულობის მენეჯერი, მარიამ ზუმბაძე. მისივე ინფორმაციით, 11, 12 და 13 ნოემბერს ინოვაციების ცენტრში ჩატარდება ტრენინგები, რომლებზეც მსმენელებს შეეძლებათ გრაფიკული დიზაინის საწყისი ეტაპის შესწავლა.

თამარ მაღრაძე

„მშვიდობის კორპუსის“ მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ტურიზმის ცენტრისა და „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისის პროექტმა გაიმარჯვა

ამერიკული ორგანიზაცია „მშვიდობის კორპუსის“ მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ტურიზმის ცენტრისა და ,,მშვიდობის კორპუსის“ მოხალისის ერთობლივმა პროექტმა გაიმარჯვა. შეგახსენებთ, რომ „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ხარაგაულში ნეით თრარიგია. საგრანტო კონკურსის პირობების თანახმად „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისესა და მის პარტნიორ ორგანიზაციას ერთობლივად უნდა გაეკეთებინათ პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი ახალგაზრდებისა და იმ ორგანიზაციის განვითარებას, რომელშიც დასაქმებულია ამერიკელი მოხალისე. პროექტის ხანგრძლივობა ერთი წელია.

„ბევრ მოსწავლეს არ აქვს იმის შესაძლებლობა, მიიღოს არაფორმალური განათლება და ჩაებას სხვადასხვა აქტივობაში. აქედან გამომდინარე, ჩავთვალეთ, რომ საჯარო სკოლის ყველა მოსწავლისათვის მიგვეცა უფლება, რათა საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე შეერჩიათ ტრენინგის თემა. პროექტის დაწყების დროს მოხდება მოსწავლეების გამოკითხვა ამის შემდეგ გაკეთდება ტრენინგების ჩატარების გრაფიკი.“ - ამბობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის დირექტორი, ბერიკა თურმანიძე.

ახალგაზრდებისათვის ტრენინგს ადგილობრივი და მოწვეული კვალიფიცირებული ტრენერები მოხალისეობრივად ჩაატარებენ. ტრენინგების პროცესში მოსწავლეები შეისწავლიან: პროექტის წერას, დროის მენეჯმენტის სწორად განსაზღვრას, ლიდერობას, საჯარო გამოსვლებსა და სხვა მათთვის საინტერესო საკითხებს.

პროექტის ხელმძღვანელთა განმარტებით, მისი ღირებულება 10 ათას ლარს შეადგენს და ტურიზმის ცენტრის 25%-იანი თანადაფინანსებით ხორციელდება. აღნიშნული თანხით პროექტის ხელმძღვანელები ოფისის მოწყობას, ინვენტარის, პროექტორის, ეკრანისა და სხვა საჭირო ნივთების შეძენას გეგმავენ.

ნეით თრარიგი - ტურიზმის ცენტრში „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე:

„თითოეული მოსწავლე, რომელსაც სურვილი ექნება, მონაწილეობას მიიღებს ჩვენ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. „მშვიდობის კორპუსის“ ერთ-ერთ ინტერესის სფეროს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარება წარმოადგენს. ჩვენი ორგანიზაცია მობილიზებულია მოსახლეობის განვითარებისთვის“.

პროექტის განსახორციელებლად განკუთვნილი თანხა „ტურიზმის ცენტრს“ ნოემბრის დასაწყისში ჩაირიცხება.

თამარ მაღრაძე

დავით გობეჯიშვილის სახელობის ტურნირში ზაურ ბერაძემ გაიმარჯვა

22-23 ოქტომბერს ქალაქ ონში თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონის, მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონის, დავით გობეჯიშვილის სახელობის ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. საქართველოს რეგიონების გარდა, შეჯიბრში მონაწილეობა სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის (ვლადიკავკაზი) გუნდებმაც მიიღეს. ტურნირში წარმატებით იასპარეზა ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ (მწვრთნელი კახა დობორჯგინიძე) და პირველი ადგილიც მოიპოვა. მას საჩუქრად ოქროს მედალი და თასი გადაეცა.

რა დამატებით ფუნქციებს შეიძენს „სათნოების სახლი“ ხარაგაულში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სათნოების სახლი“ 9 აპრილის ქუჩაზე გადავა. შენობაში, რომელიც ა(ა)იპ-ს უსასყიდლოდ უზურფრუქტის წესით 2015 წლის მარტში გადაეცა, ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. „სათნოების სახლი“ ამ დრომდე ნაქირავებ ფართშია განთავსებული.

გამგეობის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის, ზურაბ იჩქიტიძის ინფორმაციით, ბენეფიციართა ახალ ფართში სარემონტო სამუშაოები სახელშეკრულებო ვადებით, 10 ნოემბრისთვის დასრულდება.

„სათნოების სახლის“ შენობის რემონტისთვის გამოყოფილი თანხა 14 900 ლარს შეადგენს. აღნიშნულ პროექტს ტენდერში გამარჯვებული ი/მ „ინგა ფანჩულიძე“ ახორციელებს. მიმდინარე სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

„სათნოების სახლის“ დირექტორის, გოგიტა ჩიჩილიძის ინფორმაციით, ახალი შენობა კეთილმოეწყობა და ბენეფიციარებისთვის უფრო კომფორტული იქნება. „სასადილო განყოფილება მოსასვენებელი ოთახის ფუნქციასაც შეიძენს. ბენეფიციარებს შენობაში მისვლა, დასვენება, ტელევიზორის ყურება და ერთმანეთთან დაახლოება შეეძლებათ.“

მარიანა ბურჯალიანი

ვახანში ძიუდოს დარბაზი გაიხსნება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანში ძიუდოს დარბაზის გახსნა იგეგმება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამ სოფელში საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი გურამ მოდებაძე იმყოფებოდნენ. მათ მოინახულეს ადგილი, სადაც სავარჯიშო დარბაზის გაკეთება იგეგმება.

სარემონტო სამუშაოებს მთლიანად საქართველოს ძიუდოს ფედერაცია დააფინანსებს და სამუშაოების დასრულების შემდეგ დარბაზს ტატამსაც გადასცემს. დარბაზში ოცდაათამდე ბავშვი ივარჯიშებს.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12